სექსიზმი: დაინახე, ამოიცანი, შეაჩერე

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

წინამდებარე დოკუმენტის ან მისი ნაწილის რეპროდუქციასთან ან თარგმნასთან დაკავშირებით, გთხოვთ, მიმართოთ კომუნიკაციების დირექტორატს (F-67075 Strasbourg Cedex or publishing@coe.int). ხოლო დოკუმენტთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა კორესპონდენცია გთხოვთ, გაუგზავნოთ დემოკრატიის გენერალურ დირექტორატს.

ყდა და დიზაინი: ევროპის საბჭოს დოკუმენტების და პუბლიკაციების წარმოების დეპარტამენტი (SPDP)
ილუსტრაცია:
© Council of Europe

ევროპის საბჭოს საქმიანობა გენდერული თანასწორობის სფეროში

გენდერული თანასწორობა ევროპის საბჭოს პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიზანია. პრიორიტეტული სფეროები განსაზღვრულია გენდერული თანასწორობის 2018-2023 წლების სტრატეგიით, ხოლო სამუშაო მეთოდები მოიცავს მთავრობებს შორის თანამშრომლობას გენდერული თანასწორობის კომისიის ფარგლებში, რომელიც შედგება 47 წევრი სახელმწიფოს წარმომადგენლებისგან, თანამშრომლობის პროექტების განხორციელებას ეროვნულ დონეზე და გენდერულ მეინსტრიმინგს ევროპის საბჭოს საქმიანობის ყველა სფეროში. გენდერულ სტერეოტიპებთან და სექსიზმთან ბრძოლა ევროპის საბჭოს პრიორიტეტია 2013 წლიდან. ამ სფეროში არაერთი აქტივობა განხორციელდა, განსაკუთრებით, მედიისა და განათლების სექტორებში.

ევროპის საბჭოს 2019 წლის რეკომენდაცია სექსიზმთან ბრძოლისა და პრევენციის შესახებ

2019 წლის მარტში, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია CM/Rec(2019)1 სექსიზმთან ბრძოლისა და პრევენციის შესახებ.

რეკომენდაცია შეიცავს სექსიზმის პირველ საერთაშორისო დონეზე შეთანხმებულ განმარტებას. კერძოდ, რეკომენდაციის თანახმად სექსიზმი არის ნებისმიერი ქმედება, ჟესტი, ვიზუალური გამოსახულება, ზეპირი ან წერილობითი განცხადება, პრაქტიკა ან ქცევა, რომლებიც ეფუძნება ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის არასრულფასოვნების იდეას სქესის ნიშნით. რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ სექსისტური ქცევა არაპროპორციულ გავლენას ახდენს ქალებსა და გოგონებზე, იწვევს დისკრიმინაციას და ხელს უშლის მათ სრულფასოვან განვითარებას საზოგადოებაში.

- რეკომენდაციაში, ასევე, ხაზგასმით არის აღნიშნული ქალთა მიმართ ძალადობასა და სექსიზმს შორის კავშირი, რადგან „ყოველდღიური“ სექსიზმის შემთხვევები განგრძობადი ძალადობის შემადგენელი ნაწილია და ქმნის ზეწოლის, შიშის, დისკრიმინაციის, გარიყვისა და დაუცველობის გარემოს, რაც ზღუდავს შესაძლებლობებსა და თავისუფლებებს.

- რეკომენდაცია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ რა წარმოადგენს სექსისტურ ქცევას და ითვალისწინებს პრაქტიკულ გზებს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისათვის, რათა მათ მოახდინონ სექსისტური ქცევის იდენტიფიცირება და მასზე რეაგირება. იგი მოიცავს ღონისძიებების კომპლექსურ კატალოგს, რომელიც მიმართულია სექსიზმთან ბრძოლისა და პრევენციისკენ და წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს კონკრეტული ქმედებებისკენ ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: ენა და კომუნიკაცია; მედია, ინტერნეტი და სოციალური მედია; რეკლამა და კომუნიკაციის სხვა საშუალებები; სამუშაო ადგილი; საჯარო სექტორი; მართლმსაჯულების სექტორი; საგანმანათლებლო დაწესებულებები; კულტურა და სპორტი; და ბოლოს, პირადი სფერო.

- აღნიშნული ინოვაციური ტექსტი, რომელიც მიღებულ იქნა ამ სფეროში სამოქალაქო საზოგადოების მზარდი მოლოდინების პასუხად, ორგანიზაციის 47

წევრ სახელმწიფოს მოუწოდებს, გააააქტიურონ სექსიზმთან ბრძოლა ცხოვრების ყველა მიმართულებით, რადგან იგი ფართოდ გავრცელებული და გაბატონებულია ყველა სექტორსა და საზოგადოებაში, და მიიღონ კანონმდებლობა, რომელიც დაგმობს სექსიზმს და სექსისტურ სიძულვილის ენას სისხლის სამართლებრივ დანაშაულად დააკვალიფიცირებს. რეკომენდაცია ქვეყნებს, ასევე, მოუწოდებს მოახდინონ ეროვნულ დონეზე სექსიზმთან ბრძოლის პოლიტიკის იმპლემენტაციის მონიტორინგი და ევროპის საბჭოს პერიოდული ანგარიშები წარუდგინონ.

ევროპის საბჭოს ონლაინ კამპანიის „სექსიზმი: დაინახე. ამოიცანი. შეაჩერე.“, რომლის ფარგლებშიც რესურსები სხვადასხვა ენებზეა ხელმისაწვდომი, მიზნად ისახავს ცნობიერების ამაღლებას ამ პრობლემის შესახებ და მის აღმოფხვრას. წინამდებარე ბროშურის მიზანია, განმარტოს სექსიზმის მნიშვნელობა და წარმოადგინოს იდეები, თუ როგორ შეიძლება შეეწყოს ხელი აზროვნების შეცვლას, რომელიც საჭიროა „სექსიზმისა და მისი გამოვლინებებისგან თავისუფალი ევროპის“ შესაქმნელად. (რეკომენდაცია CM/Rec(2019)1 სექსიზმთან ბრძოლის და პრევენციის შესახებ).

რა არის სექსიზმი?

- სექსიზმი არის ნებისმიერი გამოხატვა (ქმედება, განცხადება, გამოსახულება, ჟესტი), რომელიც ეფუძნება ადამიანების (ხშირად, ქალების) არასრულფასოვნების იდეას სქესის ნიშნით.

- ისტორიულად, სხვადასხვა ინდივიდუალური ქმედებები, ჩვენი კულტურული ნორმები - როგორც ენაში, ისე ხელოვნებაში, ისტორიაში, სამართლებრივ თუ პოლიტიკურ ინსტიტუტებში - გაჯერებულია კაცების დომინაციის და შესაბამისად, სექსიზმის ამსახველი იდეებითა და პრაქტიკებით.

- ზოგჯერ სექსიზმის გამოხატვა ხდება ირიბად, როგორიცაა, მაგალითად, იუმორი, თუმცა ასეთი იუმორი არ წარმოადგენს „უბრალო ხუმრობას“. რეალურად, იგი არის დაცინვა, რომელიც ხშირ შემთხვევაში მიზნად ისახავს ადამიანების აბუჩად აგდებას და არა ადამიანებთან ერთად სიცილს. მსგავსი დამამცირებელი იუმორი, შესაძლოა, გახდეს სოციალური დომინაციისა და სტერეოტიპების შენარჩუნების და, საბოლოო ჯამში, ადამიანების გაჩუმების იარაღი. გამოხატვის თავისუფლება არ უნდა იქნას გამოყენებული ადამიანთა ჯგუფის შეურაცხყოფის, დამცირების ან დაცინვის საბაბად ან გამამართლებელ მიზეზად.

რა გავლენა აქვს სექსიზმს?

სექსიზმი საზიანოა. იგი ქმნის ქალსა და კაცს შორის უთანასწორობის საფუძველს და შესაძლოა, გამოიწვიოს დისკრიმინაცია. ქალების უმეტესობა ერთხელ მაინც გამხდარა სექსისტური ქმედების სამიზნე. როდესაც ქალს საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას შეუფერებელი გამონათქვამებით მიმართავენ, სამსახურში მნიშვნელოვან შეხვედრაზე დასწრების შესაძლებლობას არ აძლევენ, როდესაც ოჯახში სახლის საქმეები და მშობლის მოვალეობები არათანაბრად არის განაწილებული ან საღამოს ეთერში გასულ სატელევიზიო თოქ-შოუში სექსისტურ გამონათქვამებს იყენებენ: სექსიზმი არის ის, რასაც არაერთი ქალი ყოველდღიურად განიცდის. ასეთი დამოკიდებულება ყველგან არსებობს და ქალებისათვის მუდმივი ცხოვრებისეული ტვირთია.

სექსიზმი ადამიანს თავს უღირსად აგრძნობინებს, განაპირობებს თავის არიდების სტრატეგიებისა და თვით-ცენზურის გამოყენებას, ცვლილებებს ქცევაში და ჯანმრთელობის გაუარესებას. სექსიზმის ინდივიდუალური აქტები ქმნის დაშინებისა და დაუცველობის კლიმატს, რამაც, შესაძლოა, გამოიწვიოს ძალადობის შეწყნარება, განსაკუთრებით ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ ძალადობის შემთხვევებში.

ვისზე ახდენს სექსიზმი გავლენას?

- სექსიზმი გავლენას ახდენს ყველა ადამიანზე, თუმცა, ქალებსა და გოგონებს იგი არაპროპორციულ ზიანს აყენებს. სექსიზმის განსაკუთრებულ სამიზნეს წარმოადგენენ ქალები, რომლებიც საჯარო პირები არიან (პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, ცნობილი ადამიანები), ქალები რომლებიც მამაკაცების მიერ დომინირებულ სფეროში მუშაობენ და ახალგაზრდა ქალები. ისინი ხშირად ხდებიან გაკიცხვის ობიექტები იმ შემთხვევაში, თუ არ მოიქცევიან საზოგადოებაში დამკვიდრებული ტრადიციული როლების შესაბამისად.

- სექსიზმის უარყოფითი გავლენა ზოგიერთი ადამიანისათვის განსაკუთრებით მწვავეა, მაგალითად, მათი ეთნიკური წარმომავლობის, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის, სოციალური წარმომავლობის, რელიგიის, გენდერული იდენტობის ან გამოხატვის, სექსუალური ორიენტაციის, მიგრაციის სტატუსის ან სხვა ფაქტორების გამო.

- სექსიზმი, ასევე, გავლენას ახდენს კაცებსა და ბიჭებზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი არ შეესაბამებიან ტრადიციულ მამაკაცურ სტერეოტიპებს. მაგალითად, როდესაც კაცები აქტიურად არიან თავიანთი შვილების ცხოვრებაში ჩართული, ასრულებენ სამუშაოს, რომელსაც ძირითადად ან ტრადიციულად ქალები ასრულებენ (მეანი, მედდა) ან როდესაც მათ არ აინტერესებთ ისეთი თემები ან აქტივობები, რომელიც უნდა აინტერესებდეთ „როგორც მამაკაცებს“ (სპორტის გარკვეული სახეობები, ‘გააკეთე თავად’ (DIY) საქმიანობა, ‘სექსუალური გამარჯვებები’ და სხვა).

ვინ არის სექსისტი?

- საფრანგეთში, 2018 წელს, სექსისტური ქმედებების მსხვერპლთა 87%-ს ქალები წარმოადგენდნენ, ხოლო ბრალდებულთა 91% კი კაცები იყვნენ. თუმცა, ყველა კაცი არ არის სექსისტი და მათ უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებათ სექსიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში! ამასთან, სექსისტურ სტერეოტიპებსა და პრაქტიკას ზოგჯერ თავად ქალები უწყობენ ხელს. ხშირ შემთხვევაში სექსიზმის დაგმობა ნიშნავს გახდე დაცინვის ან, უარეს შემთხვევაში, აგრესიის ობიექტი. შესაბამისად, ჩვენ დაუფიქრებლად არ უნდა გავაკრიტიკოთ ისინი, ვისაც ეშინია სექსიზმის გაპროტესტება.

- სექსიზმი არ არის ბუნებრივი მოვლენა. შესაბამისად, ქალები და კაცები ბუნებით სექსისტები არ არიან. მეორეს მხრივ, საჭიროა საკუთარ აღქმებსა და დამოკიდებულებებს თავად გადავხედოთ.

სექსიზმი ენასა და კომუნიკაციაში

მაგალითები:

▬ ხალვათად ჩაცმული ქალის გამოსახულების გამოყენება მანქანის რეკლამაში; ადამიანთა შერეულ ჯგუფთან საუბრისას, ისეთი ენის გამოყენება, რომელიც ქალებს გამორიცხავს; კომპანიის შესახებ ვიზუალური კომუნიკაციისას მხოლოდ მამაკაცების წარმოჩენა.

რატომ უნდა ვებრძოლოთ მას?

▬ სექსისტური ენა და გამოსახულებები ამყარებს სექსისტურ დამოკიდებულებებს და ქცევას. გარკვეული ადამიანებისა თუ როლებისთვის განსაკუთრებული ყურადღების დათმობით ან მათი უგულებელყოფით, გამონათქვამები და გამოსახულებები ხშირად ქალებსა და მათ წვლილს საზოგადოებაში მნიშვნელობას უკარგავენ. სტერეოტიპების გამოყენება ქალებსა და კაცებს ხასიათის გარკვეულ თვისებებში ‘გამოამწყვდევს’.

როგორ მოვახდინოთ მისი პრევენცია?

▬ შერეულ აუდიტორიასთან საუბრისას ინკლუზიური ენის გამოყენება. სექსისტური გამონათქვამების გამორიცხვა; კომუნიკაციის ინსტრუმენტებმა აუდიტორიას უნდა შესთავაზოს ქალებისა და კაცების დაბალანსებული და მრავალფეროვანი გამოსახულებები და/ან დაუპირისპირდეს სტერეოტიპებს. გენდერულად სენსიტიური კომუნიკაციის შესახებ სახელმძღვანელოების მომზადება. სწავლებისა და კვლევის ხელშეწყობა აღნიშნულ სფეროში.

სექსიზმი მედიაში, ინტერნეტსა და სოციალურ მედიაში

მაგალითები:

▬ სტატიები, რომელიც ყურადღებას ამხვილებს ქალი პოლიტიკოსების გარეგნობაზე, ნაცვლად მათი იდეებისა; სატელევიზიო პროგრამები, სადაც ქალები წარმოდგენილნი არიან მხოლოდ მოწმეების სახით ან სტერეოტიპულ/სექსუალიზებულ როლებში და იშვიათად არიან წარმოდგენილები, როგორც ექსპერტები; ინტერნეტ-აპლიკაციები, რომელიც სამსახურის გარკვეულ შეთავაზებებს მხოლოდ კაცებს უგზავნის, რადგან ალგორითმები შექმნილია მიკერძოებულად.

რატომ უნდა ვებრძოლოთ მას?

▬ მედიაში სექსისტური გზავნილები ამყარებს სტერეოტიპებს, ქალებსა და კაცებს გარკვეულ როლებს უსაზღვრავს და რეალურ ზიანს იწვევს. აღნიშნულმა ზოგიერთ ადამიანს, მაგალითად, ახალგაზრდა ქალებს, ქალ ჟურნალისტებს ან აქტივისტებს, შესაძლოა, აიძულოს, უარი თქვან სოციალური მედიის მოხმარებაზე, რათა თავი დააღწიონ დაცინვას და შეურაცხყოფას.

ფაქტი: გამოკითხული სამი ქალი ჟურნალისტიდან თითქმის ორმა განაცხადა, რომ მას ინტერნეტ სივრცეში ერთხელ მაინც განუცდია ბულინგი და მუქარა. აღნიშნული ქალების 40%-მა თავი შეიკავა გარკვეული თემების გაშუქებისგან, ინტერნეტში მათ წინააღმდეგ განხორციელებული შევიწროების გამო.

როგორ მოვახდინოთ მისი პრევენცია?

▬ სექსისტური სიძულვილის ენის (განსაკუთრებით, ონლაინ სივრცეში) განმარტების შემოღება საკანონმდებლო დონეზე და სისხლის სამართლის დანაშაულად დაკვალიფიცირება. ციფრული უნარების შესახებ ტრენინგის უზრუნველყოფა, მათ შორის, ახალგაზრდებისა და ბავშვებისათვის. სპეციალიზებული სერვისების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს კონსულტაციას იმის შესახებ, თუ როგორ გავუმკლავდეთ ონლაინ სექსიზმს. მედიისა და კომუნიკაციების სფეროში მომუშავე სპეციალისტების მომზადება. სექსისტური კონტენტის შესახებ შეტყობინების წარდგენა მედიის მარეგულირებელ ორგანოებში.

სექსიზმი სამუშაო ადგილას

მაგალითები:

ქალებზე მეტად კაცების დაწინაურება იმ მოტივით, რომ ქალებს არ აქვთ საკმარისი ავტორიტეტი ან არ აქვთ შესაძლებლობა, იყვნენ ხელმისაწვდომი საჭიროების შესაბამისად; შეხვედრაზე ქალებისათვის ჭკუის დარიგება ისეთ თემასთან დაკავშირებით, რომელსაც ისინი კარგად იცნობენ; კოლეგისთვის ბავშვური ან ზედმეტად ფამილარული სახელის დაძახება; დამამცირებელი კომენტარების გამოყენება იმ კაცების მიმართ, რომლებიც კარიერულ არჩევანს აკეთებენ ოჯახური ცხოვრების სასარგებლოდ.

რატომ უნდა ვებრძოლოთ მას?

სექსიზმი სამუშაო ადგილას ქმნის საშიშ და მჩაგვრელ გარემოს და დამაზიანებელია ადამიანის თვით-რეალიზაციისთვის. უფრო ზოგადად რომ ვთქვათ, სექსიზმი იწვევს დაბალ ხელფასებს და ნაკლებ შესაძლებლობებს მათთვის, ვინც სექსიზმის სამიზნეა.

როგორ მოვახდინოთ მისი პრევენცია?

შრომის კანონმდებლობაში ცვილებების შეტანა, რათა გათვალისწინებული იქნას სექსიზმთან ბრძოლა. ხელფასებში, ბონუსებსა და დაწინაურებებში გენდერული განსხვავებების იდენტიფიცირება და გამოსწორება; გასაჩივრების მექანიზმების, დისციპლინური ზომებისა და მხარდაჭერის სერვისების შექმნა, სექსისტური ქცევის შემთხვევებთან დაკავშირებით. ქცევის ისეთი კოდექსის მიღება და იმპლემენტაცია, რომელიც განსაზღვრავს სექსისტურ ქცევას და უზრუნველყოფს ტრენინგს ასეთი ქცევის პრევენციისთვის. სამუშაო ადგილას ცნობიერების ამაღლება.

სექსიზმი საჯარო სექტორში

მაგალითები:

როდესაც დასაქმების/კარიერული კონსულტაციის ცენტრში ქალებს არ სთავაზობენ გარკვეულ ე.წ. 'კაცებისათვის განკუთვნილ' ვაკანსიებს; საავადმყოფოში, ექიმთან ვიზიტის დროს, სამედიცინო დახმარებაზე უარი, ქალის ნათქვამში ან მის სიმპტომებში ეჭვის შეტანა; საჯარო სერვისების მიმწოდებელი უწყებების თანამშრომელთა კომენტარები მომხმარებლების სექსუალური ორიენტაციისა და გარეგნობის შესახებ; ან კომენტარები საჯარო სივრცეში ქალების გარეგნობასთან დაკავშირებით.

ფაქტი: ქალი პარლამენტარების 68% მათი ფიზიკური გარეგნობის შესახებ კომენტარების ან გენდერულ სტერეოტიპებზე დაფუძნებული გამონათქვამების სამიზნე გამხდარა.

რატომ უნდა ვებრძოლოთ მას?

საჯარო სექტორს აქვს მაგალითის მიცემის ვალდებულება. სექსიზმი ზიანს აყენებს საჯარო სერვისებზე და საჯარო სივრცეზე თანაბარ წვდომას. იგი ქმნის მჩაგვრელ გარემოს, რომელიც ძირითადად ქალებს უზღუდავს საჯარო სფეროში მუშაობის ან პოლიტიკურ და საჯარო ცხოვრებაში სრულად მონაწილეობის შესაძლებლობას.

როგორ მოვახდინოთ მისი პრევენცია?

სექსიზმის ამკრძალავი კანონმდებლობის მიღება, ქცევის კოდექსის, გასაჩივრების მექანიზმების, დისციპლინური ზომებისა და მხარდაჭერის სერვისების დანერგვა. თანამშრომელთა ტრენინგი და ცნობიერების ამაღლება საჯარო სივრცეებში პოსტერების ან სათანადო მასალების გამოყენებით. სექსიზმთან ბრძოლის შესახებ დებულების შეტანა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებში. გადაწყვეტილების მიღების პროცესში საყოველთაო მონაწილეობის წახალისება. კვლევისა და მონაცემთა აღრიცხვის წახალისება.

სექსიზმი მართლმსაჯულების სექტორში



მაგალითები:

პოლიციელი, რომელიც უარს ამბობს რეაგირება მოახდინოს ოჯახში ძალადობის საჩივარზე ან ეჭვი შეაქვს იმ ქალის სიტყვებში, რომელმაც საჩივარი აღძრდა; მოსამართლე, რომელიც მომჩივანს კითხვებს ტანსაცმლის და სექსუალობის შესახებ უსვამს, ნაცვლად ფაქტობრივი გარემოებებისა; პროფესიული ასოციაციის მმართველი ორგანო, რომელიც ძირითადად კაცებისგან შედგება; სტერეოტიპი, რომლის თანახმადაც თუ გაუპატიურების ახალგაზრდა მსხვერპლი ნასვამი იყო, „ეს მას უნდოდა.“

ფაქტი: ევროპაში, საშუალოდ პოლიციელთა 17.7% არის ქალი მაშინ, როდესაც პოლიციას მიმართავენ როგორც ქალები, ისე კაცები. მსხვერპლს ზოგჯერ ურჩევნია, ქალ პოლიციელს გაესაუბროს, განსაკუთრებით ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში.

რატომ უნდა ვებრძოლოთ მას?

სექსისტურმა წინასწარგანწყობებმა და ქცევამ, შესაძლოა გამოიწვიოს ის, რომ მსხვერპლმა უარი თქვას სერიოზული ინციდენტების შეტყობინებაზე და შექმნას უნდობლობა მართლმსაჯულების სისტემის მიმართ. ამასთან, მაგალითად, ქალი ადვოკატების ან მოსამართლეების მიმართ სექსიზმმა, შესაძლოა, ისინი აიძულოს, უარი თქვან თავიანთ პროფესიაზე.

როგორ მოვახდინოთ მისი პრევენცია?

პოლიციისათვის სექსისტური ქცევის შეტყობინება უნდა გახდეს უფრო ადვილი. საჭიროა მართლმსაჯულების სექტორში, სამუშაო ადგილზე გენდერული თანასწორობის შესახებ პოლიტიკის იმპლემენტაცია. სტერეოტიპებთან ბრძოლა ტრნეინგისა და ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების საშუალებით, ძალადობისგან, ტრეფიკინგისგან და ა.შ. ქალების დაცვის ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების გამოქვეყნება და აღსრულება და ა.შ. მართლმსაჯულების სექტორში მომუშავე პროფესიონალები თავიანთ გადაწყვეტილებას უნდა აფუძნებდნენ ფაქტებზე, მოძალადის ქცევაზე და საქმის კონტექსტზე, ნაცვლად მსხვერპლის ქცევისა და გარეგნობისა.

სექსიზმი განათლების სფეროში

მაგალითები:

- საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლების (ქვეცნობიერად) მიკერძოებული ან დისკრიმინაციული პრაქტიკა გოგონებისა და ბიჭების წინააღმდეგ; სწავლების, სახელმძღვანელო წიგნების ან კარიერული კონსულტაციის საშუალებით სტერეოტიპების წახალისება; ახალგაზრდების გარეგნობისა და სექსუალობის შესახებ კომენტარების და ბულინგის დაუსჯელობა, მათ შორის, მოსწავლეებს ან სტუდენტებს შორის.

ფაქტი: გაერთიანებულ სამეფოში, კვლევის ფარგლებში გამოკითხული 16-დან 18 წლამდე გოგონების 66% სკოლაში სექსისტური კომენტარების სამიზნე ან მოწმე იყო.

რატომ უნდა ვებრძოლოთ მას?

- სექსიზმს – საგანმანათლებლო მასალებში, საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლების ან ახალგაზრდების ქცევაში - უარყოფითი გავლენა აქვს მოსწავლეების და სტუდენტების აკადემიურ მოსწრებაზე და შესაძლოა მათთვის კარიერული და ცხოვრებისეული შესაძლებლობების შეზღუდვა გამოიწვიოს. სკოლები როლურ მოდელებს უნდა წარმოადგენდნენ სექსიზმთან ბრძოლისა და თანასწორობის სწავლების კუთხით.

როგორ მოვახდინოთ მისი პრევენცია?

- განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის შესახებ პოლიტიკისა და კანონების იმპლემენტაცია. სკოლის კურიკულუმებისა და სახელმძღვანელოების გადახედვა სექსიზმის აღმოფხვრის, ქალი ხელოვანების, მეცნიერებისა და გადაწყვეტილებების მიმღები პირების ინკლუზიის მიზნით და იმის უზრუნველსაყოფად, რომ ქალები და კაცები სტერეოტიპულად არ იქნან წარმოჩენილი. საჩივრის წარდგენის მექანიზმის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ქალთა ისტორიისა და გენდერული თანასწორობის სწავლება და სქესობრივი განათლების უზრუნველყოფა (თანხმობისა და პერსონალური საზღვრების ჩათვლით). საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომელთა მომზადება წინასწარგანწყობებთან ბრძოლის მიზნით და მათთვის შესაბამისი საშუალებების (რესურსები, კარგი პრაქტიკა) უზრუნველყოფა.

სექსიზმი კულტურასა და სპორტში

მაგალითები:

▬ როდესაც ნაკლებად არის დაფასებული სპორტის ის სახეობები, რომელსაც ძირითადად ქალები მისდევენ - კერძოდ, სპორტის აღნიშნულ სახეობებს ნაკლები დაფინანსება და საეთერო დრო აქვს გამოყოფილი, ხოლო იმ კაცებს, რომლებიც ე.წ. „ქალების“ სპორტს მისდევენ, დასცინიან; ჟურნალისტების მიერ ქალი სპორტსმენებისათვის მათი ოჯახური ცხოვრების შესახებ კითხვების დასმა ან მათი გადაღებისას აქცენტის გაკეთება მათ სექსუალურობაზე; მუზეუმებში ან პრესტიჟული სახელოვნებო ჯილდოების მინიჭებისას, ხელოვნების ისტორიაში ქალების მიერ შეტანილი წვლილის უგულებელყოფა; ხელოვნებასა და სპორტში შევიწროებასა და ბულინგზე საუბრისგან თავის შეკავება.

ფაქტი: ქალების მსოფლიო თასის ფარგლებში, 2019 წელს, ეროვნულ ნაკრებებს ბონუსების სახით გადაუხადეს $30 მილიონი, ხოლო კაცების მსოფლიო თასის ფარგლებში, 2018 წელს, ეროვნული ნაკრებებისათვის გადახდილი თანხის რაოდენობა 13-ჯერ მეტი იყო და $400 მილიონს აღწევდა.

რატომ უნდა ვებრძოლოთ მას?

▬ ხელოვნება, კულტურა და სპორტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს გენდერული დამოკიდებულებებისა და როლების ჩამოყალიბებაში. ხშირად ქალებისა და კაცების შესახებ სტერეოტიპული წარმოდგენები ადამიანებს არ აძლევს გასართობი აქტივობების თავისუფლად არჩევისა და საკუთარი პოტენციალისა და ნიჭის წარმოჩენის შესაძლებლობას. სექსიზმი უარყოფით გავლენას ახდენს იმ ადამიანებისათვის ხელმისაწვდომ შესაძლებლობებზე და შემოსავალზე, რომლებიც სექსიზმს განიცდიან.

როგორ მოვახდინოთ მისი პრევენცია?

▬ საჭიროა გენდერული მეინსტრიმინგი კულტურისა და სპორტის პოლიტიკაში და მათი დაფინანსების გზებში (გადაწყვეტილების მიღების პროცესი, გრანტები, გამოფენები, ტრენინგები, სივრცის/საშუალებების უზრუნველყოფა). უფრო აქტიურად უნდა გაშუქდეს სპორტის ის სახეობები და კულტურული აქტივობები, რომლებშიც ქალები არიან ჩართული. მიღებული უნდა იქნას ქცევის კოდექსები, რომელიც სექსისტური ქცევის პრევენციას ახდენს. საჭიროა დისციპლინური ღონისძიებების დანერგვა და ქალთა მიმართ ძალადობის უმნიშვნელო ან წვრილმან მოვლენად წარმოჩენის მცდელობების აღკვეთა.

სექსიზმი პირად ცხოვრებაში

მაგალითები:

ის ფაქტი, რომ ოჯახებში შვილების აღზრდასთან და საოჯახო საქმეების შესრულებასთან დაკავშირებული 'გონებრივი ტვირთი' - ე.ი. ამ ყოველივეს წინასწარ განსაზღვრა, დაგეგმვა და კოორდინაცია - ძირითადად, ქალებს ეკისრებათ; საბავშვო წიგნები და კომიქსები, სადაც გოგონებისა და ბიჭების სტერეოტიპული პერსონაჟებია წარმოდგენილი; გოგონებისა და ბიჭებისთვისთვის ტანსაცმლის და აქსესუარების მიკუთვნება ფერის მიხედვით.

ფაქტი: ევროპაში, საშუალოდ ქალები კვირაში 22 საათს ხარჯავენ საოჯახო და საშინაო საქმეების შესასრულებლად, ხოლო მამაკაცები 9 საათს.

რატომ უნდა ვებრძოლოთ მას?

აუნაზღაურებელ სამუშაოს, რომელსაც ქალები ასრულებენ ოჯახში გარკვეული გავლენა აქვს მათ მონაწილეობაზე შრომის ბაზარში, გადაწყვეტილების მიღებასა და დასვენებისა და სოციალურ აქტივობებზე, რაც პირდაპირ აისახება მათ ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე. შრომის უთანასწორო დაყოფა და „ქალების" ან „მამაკაცების" როლების განაწილება იწყება ბავშვობიდან, განათლების საშუალებით, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის ბუნების ჩამოყალიბებაზე და მის მიერ მთელი ცხოვრების მანძილზე გაკეთებულ სხვადასხვა არჩევანზე, როგორც განათლების, ისე პროფესიული და პირადი ცხოვრების კუთხით.

როგორ მოვახდინოთ მისი პრევენცია?

ღონისძიებების განხორციელება პროფესიულ და პირად ცხოვრებას შორის უკეთესი ბალანსის მიღწევის მიზნით (მაგალითად, ბავშვებზე ზრუნვის ხელმისაწვდომი და ხარისხიანი სერვისები, ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულება, დეკრეტული შვებულება მამებისთვის). ცნობიერების ამაღლება და კვლევა ოჯახებში აუნაზღაურებელი სამუშაოს გავლენისა და მისი განაწილების შესახებ. ბავშვთა ადრეული აღზრდის დაწესებულებებში მომუშავე თანამშრომლების ტრენინგი. ბიჭებისა და გოგონების წახალისება, დაეხმარონ სახლის საქმეების გაკეთებაში. უზრუნველყოფა იმისა, რომ გოგონებს თამაშისა და სწავლისთვის ჰქონდეთ იგივე სივრცე და თავისუფლება, რაც აქვთ ბიჭებს.

ევროპის საბჭოს რეკომენდაციების იმპლემენტაცია



- სექსიზმთან ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს რეკომენდაციების ადრესატს, პირველ რიგში, წარმოადგენს ორგანიზაციის 47 წევრი სახელმწიფო. თუმცა, მათი იმპლემენტაცია, ასევე, შესაძლებელია კომპანიების, ასოციაციების, ადგილობრივი თვითმმართველობების, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ყველა სხვა ტიპის ორგანიზაციის მიერ. ქვემოთ წარმოდგენილია რამოდენიმე მოსაზრება იმ ნაბიჯების შესახებ, რომელთა გადადგმაც შესაძლებელია:
  - სექსისტური ქმედებების შეტყობინების შესახებ შიდა პროცედურების დანერგვა, მოძალადეთა დასჯა და მსხვერპლთა მხარდაჭერა.
- ქცევის კოდექსის ან სექსიზმის შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების მომზადება და დანერგვა, რომელიც კონკრეტულ კონტექსტზე იქნება მორგებული.
- ტრენინგ-კურსებისა და ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების ჩატარება და საინფორმაციო მასალების მომზადება თანამშრომლებისთვის, სერვისის მიმწოდებლებისა და პარტნიორებისთვის.
- ორგანიზაციაში ინკლუზიური და არა-სექსისტური ენისა და კომუნიკაციის გამოყენების უზრუნველყოფა, ხელმისაწვდომ რესურსებზე დაყრდნობით.
- მოქალაქო ორგანიზაციებთან, მათ შორის, ქალების და/ან ფემინისტურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, სექსიზმთან ბრძოლისა და პრევენციის სფეროში კარგი პრაქტიკის, ტრენინგის და ინსტრუმენტების იდენტიფიცირების და გაზიარების მიზნით.

კამპანიის ხელშეწყობა

- სექსიზმთან ბრძოლისა და პრევენციის შესახებ რეკომენდაციის სრული ტექსტი ხელმისაწვდომია ევროპის საბჭოს ვებსაიტზე: https://www.coe.int/en/web/genderequality/combating-and-preventing-sexism
- ეწვიეთ კამპანიის ვებგვერდს: https://www.coe.int/ka/web/human-rights-channel/stop-sexism
- გააზიარეთ კამპანიის შესახებ ინფორმაცია და ქვიზი სოციალური მედიის საშუალებით.

მნიშვნელოვანი განმარტებები

სექსიზმი: ნებისმიერი ქმედება, ჟესტი, ვიზუალური გამოსახულება, ზეპირი ან წერილობითი განცხადება, პრაქტიკა ან ქცევა, რომლებიც ეფუძნება ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის არასრულფასოვნების იდეას სქესის ნიშნით, რაც ვლინდება საჯარო თუ კერძო სფეროში, ინტერნეტსივრცეში ან მის გარეთ, და მიზნად ისახავს ან იწვევს:

- ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის თანდაყოლილი ღირსებისა თუ უფლებების დარღვევას; ან
- ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის ფიზიკურ, სექსუალურ, ფსიქოლოგიურ ან სოციალურ-ეკონომიკურ ზიანსა თუ ტანჯვას; ან

- დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას; ან
- ბარიერის შექმნას ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის ავტონომიისა და მათ მიერ უფლებების სრულად რეალიზებისთვის; ან
- გენდერული სტერეოტიპების შენარჩუნება-განმტკიცებას.

(მინისტრთა კომიტეტის ხეკომენდაცია CM/Rec(2019)1 წევრი სახელმწიფოების მიმართ, სექსიზმთან ბრძოლისა და პრევენციის შესახებ)

გენდერული სტერეოტიპები არის „წინასწარ შექმნილი სოციალური და კულტურული ტენდენციები და იდეები, რომელთა მიხედვითაც ქალებსა და კაცებს მიეწერებათ სქესით განსაზღვრული ნიშან-თვისებები და როლები. გენდერული სტერეოტიპიზაცია რეალური გენდერული თანასწორობის მნიშვნელოვანი ბარიერია და ხელს უწყობს გენდერულ დისკრიმინაციას. ასეთმა სტერეოტიპიზაციამ შეიძლება შეზღუდოს ბიჭებისა და გოგონების, ქალებისა და კაცების ბუნებრივი ნიჭისა და შესაძლებლობების განვითარება, ასევე, მათი საგანმანათლებლო და პროფესიული უპირატესობანი თუ გამოცდილებები და, ზოგადად, ცხოვრებისეული შესაძლებლობები.“

(ევროპის საბჭოს გენდერული თანასწორობის სტრატეგია 2018- 2023 წწ.)

„ ესწრაფვის რა, შექმნას სექსიზმისა და მისი გამოვლინებებისგან თავისუფალი ევროპა

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2019)1 წევრი სახელმწიფოების მიმართ, სექსიზმთან ბრძოლის და პრევენციის შესახებ

www.coe.int/equality
gender.equality@coe.int

KAT

www.coe.int

ევროპის საბჭო ადამიანის უფლებათა წამყვანი ორგანიზაციაა კონტინენტზე. მასში გაერთიანებულია 47 სახელმწიფო, რომელთაგან 28 ევროპის კავშირის წევრია. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა ქვეყანამ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, ხელშეკრულებას, რომელიც შექმნილია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში კონვენციის განხორციელებას ზედამხედველობას უწევს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE